სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების
მანდატურის სამსახური

მ. ალექსიძის II შესახვევი, N2
0193 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220 (3335)
registration@mandaturi.gov.ge

23/12/2024

MES 0 24 0001641395

მოქალაქე ანა ოქროპირიძეს (პ/ნ 61001066842)

ელ.ფოსტა: foi+request-3298-ab379ab3@askgov.ge

ქალბატონო ანა,

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან მიმდინარე წლის 09 დეკემბერს, საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, წარმოდგენილი თქვენი განცხადების (მანდატურის სამსახურში რეგისტრირებული N1581340) პასუხად, გაცნობებთ, რომ სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი (სამმართველო), მაღალკვალიფიციურ, უფასო ფსიქოსოციალურ მომსახურებას უწევს საგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულ სუბიექტებს.

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი ფუნქციონირებს 2013 წლიდან და ფსიქოლოგის მომსახურების მიღება, მთელი საქართველოს მასშტაბით, შესაძლებელია 13 ლოკაციაზე.
ცენტრი როგორც ინდივიდუალურად, ასევე, ჯგუფურად მიწოდებული მომსახურების ფარგლებში, მომსახურების მიმღებს ეხმარება ფსიქოსოციალური და საგანმანათლებლო პრობლემების და/ან გამოწვევების იდენტიფიკაციასა და მართვაში. კერძოდ, ისეთი ტიპის პრობლემებისა, როგორიცაა:

- სოციალური ადაპტაციის სირთულეები;
- შფოთვა და შიშის დარღვევები;
- დეპრესიული გუნება-განწყობა - თვითდამაზიანებელი ფიქრები/ქცევა და ა.შ.;
- სოციალური ქცევის სირთულეები და აგრესია;
- ტრავმის შემდგომი მდგომარეობები;
- ემოციური დისრეგულაცია.

ასევე, ცენტრი, ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეების იდენტიფიკაციისა და მართვის გარდა, მისი კომპეტენციის ფარგლებში, გასწევს ისეთ მომსახურებებს, როგორიცაა:

- მომსახურების მიმღებთა ოჯახებთან მუშაობა, მათი საჭიროებისამებრ გაძლიერების მიმართულებით;
- მომსახურების მიმღებთა და მათი ოჯახების უფლებების დაცვა და ადვოკატირება;
- მომსახურების მიმღებთა სკოლებთან მუშაობა, მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში მაქსიმალურად ჩართვისა და მხარდაჭერის მიზნით;

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან/სკოლასთან პრევენციული და პროაქტიული მუშაობა (ამ მიზნებისათვის სპეციალურად შერჩეულ საჯარო სკოლებში);
- მოსწავლის მიერ საგაკვეთილო პროცესის ხშირ გაცდენაზე და/ან მოსწავლის სტატუსის შეჩერების რისკზე რეაგირება;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრა და განხორციელება, საინფორმაციო/საგანმანათლებლო შეხვედრების უზრუნველყოფა.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში, 2013 წლიდან 2024 წლის ჩათვლით, არასრულწლოვანთა მიმართ სავარაუდო სექსუალური შევიწროების/ძალადობის ყველა შემთხვევაზე განხორციელდა დროული რეაგირება და შესაბამისი უწყებების ინფორმირება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის
სამსახური
ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი
ჩანადირი ნატო